

პროვზული თავისუფლების გზით - პროვზული თავისუფლებისაკენ
პროვზული თავისუფლების გზით - პროვზული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№99 (1609)

9-10 ოქტომბერი, 1997 წელი

**„ეზურობა,
ზოგირთებს
მხედრიონზე
შესადულაბა
შეუსვლიათ“**

იხ. გეაქცია გვერდი



**უნდობლობას
ვუსხადებთ
ეუთოს
მისიას
საქართველოში**

იხ. გეოთხე გვერდი

**დღევანდელი
ხელისუფლება
ცდილობს
აპოკრიფარული
რეჟიმის
დაკანონებას**

იხ. გენაგე გვერდი

**ნადგურდება
ინტელექტუალური
საგანძურები!**

იხ. გენაგე გვერდი

● პროცესი გადაიდო შესაქლოა, ვარდიკო ნადიბაიძე სასამართლო პროცესზე დაიბარონ

შესაქლოა, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესზე, რომელიც 15 ოქტომბრისთვის გადაიდო, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე მიიწვიონ, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრმა მალხაზ პატარაიამ.

მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველი ნახევრიდან ვაკის რაიონის სასამართლო განიხილავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სარჩელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიციის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ.

თავდაცვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა ვაკის რაიონის სასამართლო - გადაედო პროცესი, რომელიც გუშინ უნდა დაწყებულიყო, მიმდინარე სამხედრო წერტილების დამთავრებამდე. სასამართლომ ეს თხოვნა დააკმაყოფილა და საქმის განხილვა 15 ოქტომბრისათვის დაინიშნა.

პატარაია არ გამოირცხავს, რომ სასამართლო პროცესზე მიწვეულნი იქნებიან თავდაცვის მინისტრზე გაცილებით მაღალი რანგის პირებიც. მისი თქმით, დღემდე სასამართლო პროცესზე ეს საქმე არ განხილულა.

პატარაიას თქმით, საქართველოს საპატრიარქო მხარს უჭერს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოთხოვნას, მაგრამ მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესზე სასულიერო პირების დასწრება ეწინააღმდეგება მის პრინციპებს. ამიტომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ მოლაპარაკებებს ამჯობინებს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. (პრაიმ-ნიუსი)

● კონფლიქტის ზონა თხუთმეტი კაცი კვლავ დაკავებულია

გუშინ აფხაზურმა მხარემ გაღის მილიციიდან 4 ოქტომბერს დაკავებულ ქართველთაგან კიდევ 3 კაცი გაათავისუფლა. ისევე იმავე 150 ათასი რუბლის გადახდის პრინციპით.

ამჟამად აფხაზურ მილიციას 15 კაცი ჰყავს დაკავებული.

კონფლიქტის ზონაში უგზო-უკელოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების კომისიის გასვლა სოხუმში კვლავ გადაიდო.


კომისიის წევრები, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკების საფუძველზე, 1 ან 2 ოქტომბერს უნდა გამგზავრებულნი იყვნენ აფხაზეთში, მაგრამ მდგომარეობა „გართულა“ ყულევეში მიმდინარე სასწავლო მანევრებმა, რითაც აფხაზური მხარე საკმაოდ შეშფოთებულია და ჯერჯერობით ქართულ მხარესთან კონტაქტებისაგან თავს იკავებს. (გეა)

● სასამართლო იწყება თუ სასამართლომ დამნაშავედ სცნო...

ბუშინ ვაშინგტონში ქართველი დიპლომატის, გიორგი მახარაძის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი დაიწყო. როგორც ცნობილია, ნიუ-იორკში მომხდარი ავტოავარიის გამო, რომლის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ორი დაშავდა, გიორგი მახარაძე დააპატიმრეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

აშშ-ის ხელისუფლების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მახარაძეს დიპლომატიური იმუნიტეტი მოუხსნა. ასე რომ, თუ სასამართლო დამნაშავედ სცნობს, მას 70 წლით პატიმრობა ექნის. (ბეა)

მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან 8 წელი სრულდება



13 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან 8 წელი სრულდება.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, მ.წ. 13 ოქტომბერს, 12 საათზე, მერაბ კოსტავას ეზოში პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა“ გამართავს სამგლოვიარო მიტინგს, რომელზეც ქართველი საზოგადოების წინაშე წარდგება ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე, დისიდენტი, ექს-პრეზიდენტი ზგამსახურდიას ქერივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება გუშინ გაერცვლებულ განცხადებაში მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო აქციაში. (იზრინდა)

განგებულ მდგომარეობაშია საქართველოს სამხედრო ნაწილები

საქართველოს შსს შინაგანი ჯარების ზუგდიდის ბატალიონის ბუნტის მცდელობის 8 მოთავე თბილისის სხვადასხვა სამხედრო ნაწილში გადაიყვანეს, - აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შსს შინაგანი ჯარების მეთაურმა გიორგი შერვაშიძემ.

მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს შინაგანი ჯარების ზუგდიდის ბატალიონის 50 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც კალაშნიკოვის ტიპის ავტომატური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, მოითხოვნენ დაებრუნებინათ თანამდებობაზე ბატალიონის ყოფილი მეთაური, კაპიტანი ოთარ ბუღია. ბუნტი იმავე დღეს მოწყვნიდა თვით ბუდიას უშუალო ჩარევით, რომელმაც ჯარისკაცებს იარაღი დააყრვეინა.

„ამ უღირსი საქციელის მოთავეები იმას იმსახურებდნენ, რომ მოცემულ ფაქტზე აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე“, - უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შსს პრეს-სამსახურის უფროსმა ვალერიან გოგოლაშვილმა და დასძინა, რომ „შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯარისკაცების ასაკი და გამოუცდევლობა. ამიტომ არ მოთხოვა მათ პასუხი მთელ სიმკაცრით“.

რაც შეეხება დანარჩენ 42 სამხედრო მოსამსახურეს, გოგოლაშვილის ინფორმაციით, „ისინი კვლავინდებურად ზუგდიდის ბატალიონში მსახურობენ“. (პრაიმ-ნიუსი)

„საქანერგო“-ს გეგმით საქართველოს რკინიგზა ხარკდება

„იზრინდა“-სათვის რკინიგზის დეპარტამენტიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს რკინიგზაზე თითქმის ყოველდღიურად ხდება ელექტროენერჯის გამოტოვა. მიუხედავად „საქანერგო“-ს არაერთი დაპირებისა, არ სრულდება მთავრობის დადგენილება - რკინიგზისათვის ელექტროენერჯის დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტად მიწოდების თაობაზე.

როგორც რკინიგზის მესვეურები აცხადებენ, საქართველო რკინიგზას „საქანერგო“-სადმი დაელოდა არა აქვს, პირიქით, მათ თანხა წლის ბოლომდე აქვთ გადახდილი. გათიშვების გამო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ბათუმი-თბილისის უბანზე. ასევე ხშირი გათიშვების გამო ზიანდება და მწყობრიდან გამოდის ელმავლები. (იზრინდა)

„ბრიტიშ კავალიუმი“ დაინტერესებულია

7 ოქტომბერს სათბო-ენერჯეტიკის მინისტრი, დავით ზუბიტაშვილი შეხვდა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ნავთობის კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის“ წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს გაუღიო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებით, ასევე ავტოგასამართი ქსელის შექმნით, შეხვედრას ესწრებოდნენ ბრიტანული კომპანია „ანგლო-ოილის“ წარმომადგენლები.

აზერბაიჯანის საერთაშორისო ნავთობის კომპანიაში „ბრიტიშ პეტროლიუმის“ აქციათა ყველაზე მსხვილი პაკეტის მფლობელია, თურქეთის ტერიტორიაზე კომპანიას 800 ავტოგასამართი სადგური აქვს ამჟამად დაწყებულია ავტოგასამართი სადგურების ქსელის შექმნა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საქართველოსთან ურთიერთობაში „ბრიტიშ პეტროლიუმმა“ პირველი საქმიანობები უკვე გადადგა, კომპანია აუი-ასერეთსთან: შეთანხმების საფუძველზე წლის ბოლოსთვის დაიწყება საავიაციო ნავთის შემოტანა.

„ბრიტიშ პეტროლიუმის“ დაინტერესებულნი საქართველოსთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობით - აღნიშნეს კომპანიის წარმომადგენლებმა. (მპა)

აფხაზეთში ილახება ქართველი მოსახლეობის უფლებები, გაირო და ერთი კი არანაირ რეაბილიტაციას არ ახდენს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების - გალის რ-ნის სკოლების პირველ კლასებში სწავლების რუსულ და აფხაზურ ენებზე წარმართვისთან დაკავშირებით, გალის რ-ნში ვითარება დაიძაბა კერძოდ, გაიცვალა არიან სოფლების - საბერიოსა და ჭუბურხინჯის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, - აცნობა „იზრინდა“-ს კორესპონდენტს აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზერქვანიამ იგი თქვის, რომ

აღნიშნულ ქმედებას აუცილებლად უნდა მიეცეს პოლიტიკური შეფასება. მისივე თქმით, მსგავსი დაძაბულობა აწყობთ სეპარატისტულ ძალებს, რადგან იწურება რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ვადა. ზერქვანიამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გალის რ-ნში აღმინის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არანაირ რეაგირებას არ ახდენენ კონფლიქტის ზონაში მყოფი ეუთო-სა და გაერო-ს მისიების და სოხუმში მყოფი აღმინის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავ-რემ ზერქვანიამ „იზრინდა“-ს განუცხადა, რომ აფხაზური მხარე გალის რ-ნის სოფლების მოსახლეობისაგან, თითოეულ ოჯახიდან 50 კგ თხილისა და 200-250 ათასი რუსული რუბლის მიწის გადასახადის გადახდას მოითხოვს. ზერქვანიას მიაჩნია, ქართულმა მხარემ რუსეთის სამშვიდობო ძალებისაგან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა უნდა მოითხოვოს. (იზრინდა)

«საქართველოს სასამართლო რეფორმა ყველაზე აბიციური»

საქართველოს სასამართლო რეფორმა ყველაზე აბიციური პროსტაბჭოური სიერცის ქვეყნებში მიმდინარე სასამართლო რეფორმების შორის, - თულის მსოფლიო ბანკის უფროსი იურისტი ფრიდრიხ ჰულშეკი, რომელიც ერთი კვირის წინ ჩამოვიდა საქართველოში რეფორმის გატარების ირგვლივ შექმნილი ვითარების გასაცნობად.

„აბიციურიობაში ვგულისხმობ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სასამართლო სტრუქტურების შექმნას“, - თქვა ჰულშეკმა გუშინ საქართველოს პრეზიდენტის თანამშემშვიტან გეორგი კურსიანის საკითხებში, თემურ ბასილიასთან შეხვედრისას.

„სამართლებრივი ბაზის სრულყოფის გარეშე შეუძლებელი იქნება რეალური სასამართლო რეფორმის გატარება, უამისოდ კი სრულყოფილი ვერ იქნება ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპი“, - აღნიშნა შეხვედრაზე ბასილიამ.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა ჰულშეკმა, საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანია დახმარება აღმოსავლეთის მთავრობას სასამართლო რეფორმის გატარებაში. თავად დახმარების პროგრამა რამდენიმე თვის წინ დაამტკიცა მსოფლიო ბანკმა და მის განსახორციელებლად გამოყოფილია 450 ათასი დოლარი. ჰულშეკის თქმით, საქართველოს სასამართლო ინსტიტუტების ფორმირებისთვის მსოფლიო ბანკს დაგეგმილი აქვს უახლოეს მომავალში გამოყოფის 10 მილიონი დოლარი.

მისი აზრით, სასამართლო რეფორმის გატარებაში გადაწყვეტილი უნდა ითამაშოს ანტიკორუფციული პროგრამამ, რომელსაც, აგრეთვე, მსოფლიო ბანკი აფინანსებს. „საქართველოს სასამართლო სექტორში ბევრი დარღვევაა, რაც იმით არის განპირობებული, რომ ხშირად მოსამართლეები პირადი შეხედულებისამებრ იღებენ გადაწყვეტილებას და არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ფრიდრიხ ჰულშეკმა. (პრაიმ-ნიუსი)

„საქართველოში კიდევ ერთი უსაფრთხო-საარჩევნო კამპანია დაიწყო“

აფხაზეთში სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრები.

გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე მათ ურჩნდნენ ისტებს აუწყეს, რომ „ეროვნული მანტიით შენიღბული პოლიტიკური ძალები დიად ჩაერთვნენ ე.წ. საარჩევნო მართონში“. მათივე თქმით, „მრგვალი მაგიდა“ - თავისუფალი საქართველო“-ს სახელის მიტაცებისა და კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის უკანონო ხელისუფლებისათვის გადაცემის მიზნით, თვითმარქვია სპიერის, თუნგიზ კიკაჩიშვილის მეთაურობით დაიწყო ცრუ პარტიათა რეგისტრაცია ფაქტობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში. პრეს-კონფერენციის ორგანიზატორებს ამ პროცესში პოინერებად ვახტანგ ცაგარეიშვილის „შეიდეული“ მოველინა, რომლებმაც კანონიერი

ხელისუფლების რესტავრაციის მიზნით, უკანონო არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს.

წმინდა ილია მართლის საზოგადოებას მიაჩნია, რომ „კანონიერი ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატის მიერ უკანონო არჩევნების პროპაგანდა და მასში მონაწილეობა დადატია ეროვნული ინტერესებისა და უკანონო ხელისუფლების დეგრატიმაციას ემსახურება.

საზოგადოება, კატეგორიულად ემიჯნება რა, ფსევდო ეროვნულ ძალთა აღიანსს, აცხადებს, რომ „კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, უკანონო ხელისუფლებისა და თუნდაც დეენილობაში მყოფი უზენაესი საბჭოს ეგვლით დანიშნული არჩევნები უკანონობის დაკანონებას ემსახურება და ქვეყნის სახელმწიფოებრობის წინააღმდეგ არის მიმართული“. (იზრინდა)

სამინისტრო წინ აღუდგა ურკუმი ნავთობის ტარიფის შენეხვას

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ცდილობს წინ აღუდგეს სოფლის სანაეობო ტერიტორიის მშენებლობას შავი ზღვის სანაპიროზე, საკურორტო დაბა ურეკის მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სამინისტროს გუროის სამართველოს უფროსმა თემურ საჯაიამ, მან რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულს გადასცა სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის სახელზე დაწერილი საპროტესტო წერილი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ფორმა „გეგმე“ უკვე მიიღო უფლება 80 ჰექტარი მიწის იჯარით აღებაზე, ვიმეორებ, სახნაუ მიწების იჯარაზე ურეკის მახლობლად, სადაც უახლოეს მომავალში დაიწყება 4 უმსხვილესი ტერმინალის მშენებლობა. იქვე, გვერდით, დაგეგმილი აქვთ მძლავრი სარკინიგზო კვანძისა და 8 მისაღვომი გზის გაყვანა მსგავსი დონის რეგიონში ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებას და უნიკალური კურორტის განვითარებას, - თქვა თემურ საჯაიამ.

ლექიშვილის სახელზე გუზაენილ წერილში თემურ საჯაიანა სახელმწიფოსგან მოითხოვს გაერკეოს, როგორი უნდა იყოს სახაპირო - „საკურორტო, თუ სამრეწველო ზონა“. თუ ხელისუფალთ ბოლო ვარიანტი აწყობთ, მაშინ ნაკლებად თუ გამოინახება ინვესტორი, რომელიც საკურორტო საქმის განვითარებაში თანხების დაბანდებას მოისურვებს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, ნინო ჩხობაძის თქმით, ამ შემთხვევაში „აღდგომი აქვს კანონის პირდაპირ დარღვევა“.

„დაგეგმილი მშენებლობა მიეკუთვნება პირველი კატეგორიის ობიექტებს, რომლებზეც გადაწყვეტილების მიღება, მოქმედი კანონმდებლობის თანხმად, არ შეიძლება გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებლად, მაგრამ ასე არ მოხდა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ საკითხი დაუკითხავად გადაწყვიტა, თქვა ნინო ჩხობაძემ და დასძინა, რომ „სამინისტრო არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას“. (პრაიმ-ნიუსი)

ერთი „რეკონსტრუქციის“
შიდა პარტიის კონფლიქტის
თარაზა

ხელთ გვაქვს ერთი მისიის რეკონსტრუქციის
ციათა რამდენიმე ტექსტი (1994 წლის 15
აგვისტოსი რუსულ ენაზე იმავე წლის 27
ოქტომბრისა რუსულ ენაზე და 12 დეკემბრისა
ინგლისურ ენაზე, აგრეთვე მისი პუბლიკაცია
გაზ „Свободная Грузия“ № IV 1995). ტექს-
ტის, ფაქტობრივი ერთგვარობების გამო
ესარგებლობთ ყველაზე ადრეულით, რომელზე-
დაც ყველაზე ინტენსიური მუშაობა გვაქვს
ჩატარებული.

ერთი „რეკონსტრუქციის“ დახასიათებ-
სას პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის,
რომ მათი ავტორები ცალსახად აცხადებენ,
რომ „სამხრეთ ოსეთი“ (სეთი გახლავთ მათი
ტერმინოლოგია საქართველოს განუყოფელი
ნაწილია. ამ პოზიციის დაკავება მისიის კეთილი
ნების გამოვლენად ვერ ჩაითვლება (და, ამგ-
ვარად, საქართველოს სახელმწიფოსადმი მისი
კეთილი განწყობის ნიშნად ვერ წარმოედგება),
ეინაიდან არსებულ სახელმწიფოთა მთლიანობ-
ა და მათი საზღვრების ხელშეუხებლობა
ერთი (კერძოში უშიშროებისა და თანამ-
შრომლობის ორგანიზაცია, OSCE) ერთ-ერთი
ძირითადი პრინციპია.

სამაგიეროდ უკანონო ტერმინ „სამხრეთ
ოსეთის“ ხმარება (და არა „შიდა ქართლი“,
„სამხაბლო“ ან „ყოფილი სამხრეთ ოსეთის
ავტონომიური ოლქი“) მისიის თავისუფალი
არჩევანის შედეგი გახლავთ, ისევე როგორც
ის გზა, რომლითაც მისიის მსურს განახორ-
ციელოს თავისი ძირითადი მიზანი - „ვცდა,
რომ განისაზღვროს სამხრეთ ოსეთის სტატუს-
ის კონტურები საქართველოს შემადგენლო-
ბაში, როგორც საფუძველი მოლაპარაკებ-
სათვის მოკონფლიქტე მხარეებს შორის“. ამ
სიტყვებს, რომლებიც „რეკონსტრუქციის“
პირველივე ფრაზის ნაწილია, მოსდევს კონ-
სტატაცია, რომ „Status будет установлен по
соглашению между двумя конфликтующими
сторонами и отправлен на хранение в
Секретариат СБСЕ в Вене.“, რაც იმას
მეტყველებს, რომ საქართველოს, რომელიც
ერთი დოკუმენტით ერთ-ერთი ხელმძღვრე
სახელმწიფოა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან
გაუტოვდება მომავალში ამ „სტატუსის“ შეცე-
ლა, რაც უნდა დამლუპველი აღმოჩნდეს ჩვენი
ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის ეს უკა-
ნასკნელი.

„სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის მისიის „რე-
კონსტრუქციის“ განსაზღვრავს იმგვარად, რომ
ა) ჯერ ერთი, ამ სახელით წოდებული
ტერიტორია ფაქტობრივად თითქმის
დამოუკიდებელი ხდება;

ბ) მეორეც, შეიარაღებული კონფლიქტი
კი არ ცხრება, არამედ ღრმავდება და მწვავედ-
ბა;

გ) შესამეც, იქმნება პრეცედენტი
საქართველოში ახალ ეროვნულ-ტერიტორი-
ულ ავტონომიათა შექმნისათვის და, შედე-
გად, საქართველოს დაშლისათვის.

აღსანიშნავია, რომ მისიის წინადადება-
ბი არანაირად არ გამოძინარეობს არც ად-
ამიანის უფლებათა, არც, კერძოდ, უმცირ-
ესობის უფლებათა დაცვის იმ ნორმატიუ-
ლი დოკუმენტებიდან, რომლებიც საერთა-
შორისოდ აღიარებულია თეთი ერთის ან
სხვა რამ საერთაშორისო ორგანიზაციების
მიერ.

ქვემოთ მოყვანილ „რეკონსტრუქციის“ ადგ-
ილებს თქმულის საიდუმლოვით

I. შიდა პარტია („ოსეთის“
სახელმწიფო)
ფაქტობრივად თითქმის
დამოუკიდებელი ოსეთის
სახელმწიფო ხდება:

„Миссия предлагает создать, путем
соглашения между двумя конфликтующими
сторонами, статус Южной Осетии,
признанный международной конференцией
и переданный в Секретариат СБСЕ в Вене и
обеспечивающий ее самоуправление в составе
Грузии. Соглашение должно быть проведено
в жизнь и гарантировано конституцией Грузии
или конституционным статутом.

Согласно этому предложению Южная
Осетия должна иметь свое законодательство,
исполнительную и судебную власти. Жители
Южной Осетии будут не только участвовать
в выборах в Парламент Грузии, но также будут
избирать Парламент Южной Осетии. Полномочие
на создание законодательства для них и на их
управление будет разделено между
южно-осетинскими и

უნდობლობას ვუსხადებთ ერთი მისიის საქართველოს

„საქართველოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ეროვნულ-
განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა ერთი ჯგუფის
„ერთობლივი განცხადება“, რომელშიც, სხვათა შორის,
გამოთქმული იყო უნდობლობა ერთი საქართველოს მისიის
მიმართ იმ ანტიქართული მიმართულების გამო, რომელიც აქვს
მის მოღვაწეობას შიდა ქართლის კონფლიქტთან დაკავშირე-
ბით. მკითხველს შეეპირდით, რომ გამოვსაქვეყნებდით ნაწყვეტ-
ებს მისიის რეკონსტრუქციებიდან კონფლიქტის „დარეგულირე-
ბის“ თაობაზე შესაბამისი კომენტარითურთ, საიდანაც გამოჩნ-
დებოდა მისი პოზიციის არსი. ვასრულებთ ამ პირობას.

общегосударственными властями“.

„Южная Осетия... будет иметь право
открыть свое представительство во
Владикавказе и разместить представи-
тельство Северной Осетии в Цхинвали“.

„Южная Осетия, по крайней мере
временно, должна быть объявлена
охраняемой демилитаризованной зоной. Все
южно-осетинские военные формирования
должны быть распущены. Ни одно из
грузинских вооруженных формирований не
должно размещаться на территории Южной
Осетии. Жители Южной Осетии будут
освобождены от всеобщей воинской
обязанности (но при этом никому не
запрещено добровольно поступить на военную
службу). Военная безопасность в Южной
Осетии, на основе взаимного согласия, будет
обеспечиваться миротворческими силами,
находящимися под международным
контролем.

В зависимости от прогресса в процессе
примирения между осетинами и грузинами,
на последнем этапе следует рассмотреть
вопрос о выводе миротворческих сил. В этом
случае может существовать две
альтернативы:

- Южная Осетия останется демилитаризованной зоной. Ни один житель Южной Осетии не будет призван в грузинскую армию.

- Новые подразделения, составленные
исключительно из жителей Южной Осетии
(как осетин так и грузин), могут стать
составной частью грузинской армии. Они
будут дислоцироваться в Южной Осетии, но
при этом будут входить в общегосу-
дарственную командную структуру“.

Южная Осетия останется
демилитаризованной зоной. Ни один житель
Южной Осетии не будет призван в грузинскую
армию.

„Южная Осетия, в рамках будущего
соглашения об установлении и Конституции
Грузии, должна иметь исключительное право
на определение своих политических органов
и структур. Она, в тех же рамках, должна
иметь право принять свою собственную
конституцию, регулирующую политическую,
экономическую и правовую структуру Южной
Осетии. Конституция, законы и положения
Южной Осетии не должны противоречить
конституции Грузии.“

Южная Осетия должна иметь право
выбрать свое название и гербы. Распоряжение
на использование гербов Южной Осетии на
равне с государственными будет издаваться
властями Южной Осетии.

Вопросы культуры целиком войдут в
юрисдикцию Южной Осетии“.

„Общегосударственные власти не долж-
ны прямо управлять экономикой Южной
Осетии. В более широких рамках Южная
Осетия должна, в принципе, иметь возмож-
ность наиболее самостоятельно решать свои
экономические вопросы. Она должна иметь
право непосредственно участвовать в
международной торговле и других формах
экономического сотрудничества.“

Любой пограничный режим в отношении
к Северной Осетии должен учитывать
законную заинтересованность Грузии
контролировать свои внешние границы и
законную заинтересованность Южной Осетии

развивать традиционные связи с Северной
Осетией. Для этого Миссия предлагает
создать Южно-Осетинские филиалы
пограничной полиции и таможенного
управления Грузии. Штат этих филиалов
должен набираться из жителей Южной
Осетии согласно ее этническому составу“.

„Общегосударственные власти будут
иметь право определить государственный
официальный язык или языки. Южная Осетия
будет иметь право определить,
дополнительно к государственному
официальному языку, любой другой
официальной язык на своей территории“.

„Для укрепления взаимного доверия
полиция Южной Осетии в единой форме,
должна быть организована на южно-
осетинской основе. Южно-осетинское
отделение полиции должно состоять из
местных подразделений, укомплектованных с
учетом этнического состава местного
населения. Начальник полиции Южной
Осетии будет назначаться властями Южной
Осетии по согласованию с Министерством
внутренних дел Грузии“.

„В юрисдикцию парламента Южной
Осетии должна входить разработка законов
по тем аспектам экономической жизни,
которые носят региональный характер, как
например использование природных
ресурсов, местная промышленность, местный
транспорт, недвижимое имущество, туризм
и т.д.“.

„Само собой разумеется, что граница
Южной Осетии с Грузией является
внутренней границей и поэтому прозрачна. На
границе Грузии (Южной Осетии с Россией)
Северной Осетией, как на международной
границе, будет действовать международный
пограничный режим.“

Миссия высказала свое мнение, что
необходимо сделать все возможное, чтобы
эта граница стала более прозрачной для
жителей Южной и Северной Осетии. С учетом
этих моментов были сделаны предложения
по формированию пограничных и таможенных
властей грузинской стороны“.

თითქმის დამოუკიდებელ „ოსეთში“ მცხ-
ვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობა
„ეროვნული უმცირესობის“ სტატუსით რჩება
და მისი როგორც სიცოცხლის, ისე ინტერე-
სების დაცვა „ოსეთის“ ხელისუფალთა პა-
სუხისმგებლობაზეა.

„Миссия весьма серьезно относится к
необходимости защиты прав всех
меньшинств. Правда, что грузинское
население Южной Осетии составляет
„меньшинство внутри меньшинства“. Поэ-
тому любой статус должен защищать их
права. О выполнении Южной Осетией
обязательства придерживаться принципов
верховенства закона и демократии будут
судить по тому, как защищаются права всех
жителей, невзирая на этническое происхож-
дение“.

„ოსეთად“ სახელდებულ ქართლის ნაწი-
ლს ან „რესპუბლიკის“, ან სხვა რამ სახელი
მიეცემა (ავტორები ამ საკითხს არსებითად
არ თვლიან). მათი მსჯელობა ამ საკითხზე
ნათლად მეტყველებს, რა მსკუპულად ეკიდება
მისია ამ ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის სასი-
ცოცხლო საკითხს.

„Во всем этом тексте Южная Осетия

упоминалась как „Южная Осетия“.
Это название вызывает негодование у
многих грузин по причинам, упомянутым в
пункте 2 а. раздела II. Несмотря на спорность
степени убедительности их аргументов, нет
сомнения, что уже несколько поколений, как
в Советском Союзе так и во всем мире
называли территорию, о которой идет речь,
„Южной Осетией“. Общеизвестная
международная практика и принципы СБСЕ
требуют, чтобы факты, а не их исторический
характер, принимались во внимание для
оценки обстановки. Факт заключается в том,
что существуют территориальные единицы,
называемая „Южная Осетия“, в населении
которой преобладают осетины. По мнению
Миссии право этой территориальной
единицы сохранить или свободно поменять
свое название не должно быть поставлено под
сомнения.

Другим яблоком раздора, которому
многие грузины и осетины придают большое
значение, является вопрос: будет ли Южная
Осетия в будущем называться „республикой“
или как-то иначе (регион, область, край,
земля и т.д.). Эти слова со своим традиционно
советским значением понятны почти всем. Во
время советского периода Южная Осетия
имела „административный“ статус
„автономной области“ в составе Грузинской
Советской Социалистической Республики,
тогда как Абхазия и Аджария являлись
счастливыми обладателями „политического“
статуса „автономная республика“. В ответ
на провозглашение Грузией независимости от
Советского Союза Южная Осетия
провозгласила независимость от Грузии и
дала себе определение „Республика“.

Требование Южной Осетией
государственности не было признано
международным сообществом. Возникает
вопрос, может ли Южная Осетия продолжать
называть себя „республикой“, как
территориальная единица в составе Грузии.

Адекватное и справедливое разделение
власти между общегосударственными
органами и Южной Осетией имеет для
Миссии первостепенное значение.

Если будущий статус Южной Осетии
создает фундамент для мирного
сосуществования, Миссия считает
бесполезным тратить энергию на решение
вопроса о названии. Однако, участвуя в
переговорах как в Тбилиси так и в Цхинвали,
Миссия понимает, что это имеет большое
значение, поскольку, к сожалению, обе
стороны сосредотачивают свое внимание
исключительно на этом вопросе. Представители
обеих сторон согласны, что в
будущем будет достаточно возможностей для
территориальных единиц в Грузии
называться „республиками“. Однако, тем не
менее многие политики в Тбилиси готовы
предоставить такое название Абхазии или
Аджарии, но едва ли можно найти человека,
который был бы готов пойти на уступку для
Южной Осетии. Лидеры Южной Осетии, с
другой стороны, находят важным, чтобы
Южная Осетия сохранила определение
„республика“ при любом будущем
копромиссе.

Миссия, считая это вопросом
второстепенной важности, может допустить
любое будущее название для Южной Осетии.
Она хотела бы обратиться к грузинской
стороне проявить великодушие в решении
этого вопроса если, конечно, Южная Осетия
согласится реинтегрироваться в состав
грузинского государства“.

II. შეიარაღებული კონფლიქტი კი არ დასრუბა, არამედ გაგრძელდა

ერთი მისია საქართველოში თავისი „რე-
კონსტრუქციის“ მკითხველის პირდაპირ დეზ-
ინფორმაციას ეწევა როგორც ქართულ-ოს-
ური კონფლიქტის წარმოშობის ფაქტობრივ
შესახებ, ისე იმ შედეგთა შესახებ, რომელ-
საც მისი დარეგულირებისათვის ვატარებუ-
ლი ესა თუ ის ღონისძიება მოიტანს. სახელ-
დობრ, იგი წერს, რომ კონფლიქტის არსებო-
ბის ფაქტობრივი იყო რუსი ოკუპანტების მიერ
1922 წელს უკანონოდ დაარსებული ავტონომიის
გაუქმება საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ
1990 წელს: „Анулирование территориального
статуса Южной Осетии в 1990 году обострило
сепаратистские тенденции в этом регионе. В
будущем, отказ в территориальном статусе

სკოლაში შესასწავლი ქართული მწერლები

კონსტანტინე გამსახურდიას გამსახურდიას ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ ბრიგადაშილი

გაპარუა არჩივს.

მამამ შეიღებები სენაკში აღარ დააბრუნა. ვანო ბაქოში გაგზავნა სასწავლებლად, კონსტანტინე კი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში მიიბარა.

ქუთაისის გიმნაზიაში

იმ დროისათვის საქართველოში ორი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი არსებობდა, თბილისის კლასიკური გიმნაზია და ქუთაისის სააზნაურო გიმნაზია. მაშინდელი ქართული ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს სწორედ ეს სასწავლებლები აქვს დამთავრებული.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საფუძველი კონსტანტინეს დიდ ერუდიციას სწორედ ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში ჩაეყარა. აქ ასწავლიდნენ იმ დროის გამორჩეული პედაგოგები. ქუთაისი იყო წმინდა ქართული ქალაქი, რომელიც კულტურის დონით ტოლს არ უდებდა დედაქალაქს.

ამ სასწავლებელში, მაგალითად, ყმაწვილი კონსტანტინე ისე სრულყოფილად დაუფლა რუსულ, ლათინურ და გერმანულ ენებს, რომ გერმანულიდან "ზარატუსტრას" თარგმანისთვის მიუყვია ხელი.

ხშირად ლათინურის მასწავლებლის მაგივრად, რომელიც ბაზუსთან მწყურლად არ ყოფილა და გაკვეთილზე ჩაქინებოდა ხოლმე, კონსტანტინე ლათინურის გაკვეთილსაც კი ატარებდა.

იმუამდ არსებულ ქუთაისის ერთადერთ ბიბლიოთეკაში მომავალ მწერალს გადაუკითხავს მსოფლიო ლიტერატურის შედეგები.

ერთხელ, - იგონებდა მწერალი, - მამა ჩამოვიდა და ინახულა გიმნაზიის დირექტორი ისევ ოცხელი და აუწყა მას: ჩემი შვილი სკოლიდან უნდა გამოვიყვანო, რადგან მე თავდებით ვარ ციხიდან გამოშვებული, აღბათ, მალე დამიჭერენ და ბავშვი უპატრონოდ დარჩება.

მამაჩემმა დირექტორს არ გაუხმებია, ხოლო მე შეუფარველად მითხრა: ჩემი დროის სკოლა და წიგნები მხოლოდ რყენიან ახალგაზრდობას. თუ შენ აქ დაგტოვებ, შენ ძმასავით სოციალდემოკრატი გახდები.

დირექტორს გაჯიუტებული მშობელი უარით გაუსტუმრებია და ფრიადოსანი მოწაფის უზრუნველსაყოფად მისთვის სტიპენდიაც დაუნიშნავს.

„გათუნებისას ვდგებოდი, პალტო არა მქონდა, ცხელ მჭადს ჩავიდებდი უბეში და სკოლისკენ მივბრუნდი“. - ეს ერთი ფრაზა ყმაწვილი გამსახურდიას სოციალურ ყოფას კარგად წარმოგივლიდა. მისი ოჯახი აბაშაში უფრო და უფრო კარგავს მდგომარეობას.

მოწაფეობის წლებიდანვე კონსტანტინე ფაშოვსწორებელ რომანტიკოსად ყალიბდება. ის ლიდერობს მეგობრებში და ლიდერობისთვის აქვს ყველა მონაცემი - კეთილდღეობა, ჭკუა, ნიჭი, სიბეჯითე, სიცოცხლის სიყვარული, ქალებისადმი ტრფიალში გაბედულება, ულალატობა, უშიშრობა, მეგობრებისადმი თანადგომა. დამახასიათებელია ერთი სიუჟეტი მისი ხასიათისათვის: ეჭვიანობის ნიადაგზე კონსტანტინეს თანაკლასელმა ბებუთი დაარტყა. ამასობაში ზარი დაირეკა. დირექტორი შემოვიდა და სისხლის კვალი რომ დაინახა, მერხზე მდუმარედ მჯდარ კონსტანტინეს მიადგა, რომელმაც შეკითხვაზე, ვინ გაგიმტა შეილოო, ფეხზე ამდგარმა უპასუხა - არ ვიციო და უგონოდ დავცა...

ქუთაისის სასწავლებლებში იწყებს კონსტანტინე მწერლობაში პირველი ნაბიჯების გადადგმას. აქვე იფეთქა მასში მემოხის სულმა და მეგობრებთან ერთად დააარსა პოლიტიკური საიდუმლო ორგანიზაცია „ცხრა მუხა“.

კონსტანტინე გამსახურდიას წინაპრები, ოჯახი

კონსტანტინე გამსახურდია დაიბადა 1893 წლის 5 მაისს. ადრე მისი დაბადების წლად 1891 წელი იყო მიჩნეული. მაგრამ როგორც მწერალი თავად აღნიშნავს, ზუსტი თარიღი მოგვიანებით დადგინდა.

გამსახურდიები აზნაურები იყვნენ, მე-19 საუკუნის ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, მათი ფუძე ქართლში ყოფილა (გამსახურდაშვილი) და ქართლიდან გადასულან სამეგრელოში.

ერთი გამსახურდია, სახელად პავლე, თბილისის მიტროპოლიტი ყოფილა. მე-18 საუკუნის მიწურულს. ერთი შტო გამსახურდიების გვარისა ვახტანგ VI-ს გაჰყოლია რუსეთში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შტოს წარმომადგენლები ქართლის მეფის ვახტანგის ყმანი უნდა ყოფილიყვნენ. ყმანიო, რომ ვამბობ, არ გაგვიკვირდეთ, მეფისთვის ყველა ყმა იყო, გლეხიდან დაწყებული, თავადით დამთავრებული. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნიდან“ თინათინის მიმართვა აეთანდლილსადმი - „პირველ ყმა ხარ ხორციელი“.

კონსტანტინე გამსახურდიას მე-მუარულ თხზულებაში „ღანდებთან ლაციცი“ პირუთენელადაა მოთხრობილი მწერლის წინაპართა ხასიათსა და ცხოვრების წესზე. გამსახურდიები, რბილად რომ ეთქვას, ერთობ ფათურაკიანი ხალხი ყოფილან. არაორდინალურნი, გამორჩეულნი, როგორც ფეოდალის სისასტიკით, ისე სიქველეთ ცალკეულ პირთა.

კონსტანტინე დაიბადა სამეგრელოს ერთ პატარა, უღამაზეს სოფელ აბაშაში. პატრიარქალურ ბუნებასთან შერწყმულ აზნაურის მამულში, რომელსაც ჩამოყდის პატარა მდინარე ზანა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ამ პატარა ბიჭის ქვეყნად მოვლინება მსოფლიოში ამ უშუბირესი მდინარის სახელს საყოველთაოდ ცნობილს გახდიდა იმის წყალობით, რომ პატარა კონსტანტინე წლების შემდეგ დუნაისა და რაინის პირას დაბადებულ მსოფლიო კორიფეთა გვერდით დადგებოდა.

მამამისი, სვიმონ გამსახურდია მე-19 საუკუნის ფუნქციონარულ აზნაურთა ტიპური წარმომადგენელი იყო. ერთხელ მივლო თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა და... ქართველ თავადაზნაურობას ომისა და მშვიდობის ამბავს სხვა სახელმწიფოს მეფე უკვე აღარ ეკითხებოდა. სვიმონი იჯდა საკუთარ მამულში და წრეგადასულ დროსტარებას ეწეოდა. თავის ნაყმეთა ქალიშვილებთან აშოყითა და ნადირობის აზრით იქცევდა თავს. 40 წლამდე ჯირობობას, ნადირობასა და დროსტარებას გადაყოფილს წიგნებთან ჭიდილი მაინცდამაინც არ პყვარებია. „თავის სიცოცხლეში ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითის“ გარდა წიგნი არ წაუკითხავს და მე აგრე მასსოეს, იგი გულდასმით ამტკიცებდა: რაც დასაწერი იყო, ამ ორ წიგნში უკვე დაუწერიათ და სხვა რამ არც არისო საჭირო“ - იგონებდა მამის შესახებ მწერალი.

სვიმონი უშიშარი კაცი ყოფილა. ერთი დეტალი: „მოვარის მოტაცებიდან“ თარაშემხვარის სიტყვები, როცა მან ცხენი შეაგდო ადიდებულ ენგურში, მამის ცხდასაწიხი იხ. „საქართველო“, №98



კონსტანტინე გამსახურდია შვილებთან თამართან და ზვიალთან ერთად

ლორების ეპიზოდებიდან აქვს აღებული კონსტანტინეს. სვიმონს შეუგდია ცხენი ნაპირებიდან გადმოხეტილ აბაშაში და მახეწარებს, ნუ იზამო ამას, შეუძახა თურმე - მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკანდახევა არ სჩვევიაო.

მწერლის დედა, ელისაბედ თოფურიძისა ფრიად მორწმუნე, მშრომელი, ქველი ადამიანი ყოფილა. „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია.

დედის მხრიდან ბაბო აფხაზი პყავდა კონსტანტინეს, ჯარამხან მანი (ძველი აფხაზი ფეოდალის, მარშანის ქალი), მეძებრებით მონადირე, ვაჟკაცური ბუნების. ხოლო დედის მამა, სიკო თოფურიძე, ბიბლიოთეკის თეთრი წვერითა და უჩვეულო სიღამაზით, მოხუცებულდობაშიც კი ანკვიფრებდა მნახველს. აზნაური თოფურიძე მუდამ მოღვნილი და ხუმარა, ქორ-მიმინოთი, მეძებრებით, ნადირობით, თეჯალობითა და ქალებით თავშემაქცევარი ყოფილა.

კონსტანტინე სვიმონისა და ელისაბედის მე-7 შვილი იყო ლუკას, ბესარიონის, ალექსანდრეს, ვიქტორის, ვანოსა და სოფიოს შემდეგ. მამამისს პირველი ქორწინებიდან კიდევ პყოლია შვილი - დიმიტრი.

ამ პატრიარქალურ ყოფაში, მშობლების, ბებია-ბაბუისა და უფროსი და-ძმების, გამდელ ეკის მზრუნველობის ქვეშ უდარდელად იზრდებოდა ბავშვი.

პირველდაწყებითი განათლება მან სოფლის სამრეველო სკოლაში მიიღო, ანბანი უსწავლებია დიაკონ ევგენი ქოიავას.

„ძალიან პატარა ვიყავი, როცა წიგნების კითხვას მიეყავი ხელი. „ქართლის ცხოვრების“ კითხვის დროს არაერთხელ მიტინია ვახტანგ გორგასლის, გიორგი პირველის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, სვიმონ მეფისა და ერეკლე მეორის გარდაცვალების გამო.

შვიდი წლის ბიჭი ვიქანდინდი, წამოვიზრდები და ჩემი ქვეყნის მტრებს გაეუუუე-მეთქი. მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ვოცნებობდი: დიდი გენერალი გაემხდარიყავი, ლაშქარი შემედგინა და საქართველოს მტრები შეემეუსრა“ - იგონებდა მწერალი.

ამ სეპტემბერი ოჯახის თავზე მოუ-

ლოდნელად ავი ღრუბლები დაიგრაგნა. კონსტანტინეს უფროს ძმას ბესარიონს ოთხფუთიანი გირა ცალი ხელით აუწევია, სისხლი ჩაექცა და საშინელი წამებით გარდაიცვალა, შემდეგ მეორე ძმის, დიმიტრის ცხედარი გაიტანეს სახლიდან.

ამ უბედურებას სხეც დაემატა. იმ დროის პოლიტიკურმა ვაკანალიებმა გამსახურდიების ოჯახის თავზეც გადაიარა. რუსეთის გზით შემოსული მარქსიზმის ბაცილა ქართულ ოჯახებშიც მიმოიფრქვა და ძმა ძმას წაპყიდა, მამა-შვილს. უცნაურია, იმ ოჯახში, სადაც კონსტანტინე გამსახურდია იზრდებოდა, რომელიც სრული ანტიპოდი იყო სოციალ-დემოკრატებისა, იმ ოჯახში, რომელსაც სვიმონ გამსახურდია უძღვებოდა, უფროს-უმცროსობის წესსა და ადათს ისეთივე ბუნებრივად რომ მიიხევედა, როგორც ხელის თითების სიგრძე-სიმოკლეს, ერთი ძმა - ალექსანდრე თავგადაკლული სოციალ-დემოკრატი გახდა, ჯერ ბოლშევიკებს მიემხრო, შემდეგ მენშევიკებს, 1905 წლის აჯანყებას უმეთაურა, სისხლიც დაიდო. მეორე ძმა, ვიქტორიც კაზაკებთან ჩხუბის მედეგააბრავდა, ორი ძმა ოჯახიდან გადაიხევეწა. ჟანდარმებმა მათ ძიებაში მოხუცი სვიმონ გამსახურდია დაიჭირეს და ქუთაისის ციხეში გამოამწყვდიეს, საიდანაც ჯანგატეხილი, ავადმყოფი დაუბრუნდა მამულს.

სენაკის სასწავლებელში

კონსტანტინე და მასხედ 3 წლით უფროსი ვანო მამამ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში მიიბარა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მიერ იყო დაარსებული. სკოლის დირექტორი იყო შესანიშნავი პედაგოგი არსენ წითლიძე. აქ ასწავლიდა ნიკო ჯანაშია, მამა ჩემი ცნობილი ისტორიკოსის, ნიკო ჯანაშიასი.

სასწავლებელში გამსახურდიები შეიღებებით მოუღია, მაგრამ ბინად ისინი ლოთ ყასაბთან აღმოჩნდნენ, რომლის ხუშტურებს, ბავშვებმა დიდხანს ვერ გაუძლეს და ყასაბის მოჯამაცირობას, რასაც ეს უკანასკნელი უზრუნველად გაზრდილი ბიჭებისაგან ითხოვდა, შინ

„აბაზა, ზოგიერთებს შეადრიონზე შეხედულა შეუსვლიათ“

ვაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონ ნოდარ! გულდასმით წაიკითხეთ თქვენი ვაზეთის აწლის 2-3 ოქტომბრის №96-ში დაბეჭდილი ჩვენი რაიონის სოფელ ბაღდადის „მოსახლეობის“ დია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი სათაურით „ისეთ საქმეს სჩადიან, მხედრონი მათთან მამა აბრამის ბატონად მოგვჩვენება“...

ძალიან ეცვიან, მაგრამ მასში ყურით მოტანილი ჭორების და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულების მეტი ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ერთი რამ ცხადია, წერილის ავტორი, რომელიც სოფლის მოსახლეობის სახელით სარგებლობს, ძალიან არის შეწყუბუებული სტიქიითა და ბუნების ჭირვეულობით, რომელთაც მართლა ჰქონდა ადგილი და დიდი ზიანი მიადგინა რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას წლებადედი წელი არასახარბიელო გამოდგა მთლიანად კახეთში შემარცხლებლობისათვის, მაგრამ მიწათსარგებლობის გადასახადის კანონი ამ მიზეზით შედგა თუ არ ითვალისწინებს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქ გადაწყვეტი სიტყვა დაზღვევის ინსტიტუტს უნდა ეთქვას, წლებულს კი შეწარმენა და სადაზღვევო ორგანოებს შორის ურთიერთობები ვერ აქვს, ვინაიდან, წლის დასაწყისში შეწარმეება სადაზღვევო გადასახადები ვერ გადაიხადეს და ვერც სადაზღვევო ორგანიზაციებმა შესძლეს ზარალის კომპენსირება.

უდაო ფორმულაა, რომ კახეთში 1 ჰა ხორბლის წარმოება 400-450 ლარი ჯდება. ასე უჯდება ფორმულას და კერძო პირებსაც, ვინაიდან, იგი განპირობებულია ტექნიკის მარაგანწილების, საწყაე-საცხების მასალების და სათესლე მასალის საბაზრო ფასებით. ასევე ცნობილი არის მთავარი, რომ თუ საშუალოდ ჰექტარზე 3 ტონამდე და მეტ ხორბალს ვერ მიიღებ, სამეურნეო წელს ზარალით დაამთავრებ სამ განვარდნებით წერილის ავტორს ახალი ტექსტით რიტეა არ აღმოუჩინია.

როგორც ჩანს, წერილის ავტორი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაშია ან სპეციალურად ააგო წერილი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით (აბაზა, სურვილი ჰქონდა თავისი სოფლის მაცხოვრებელთა ყველა დამოუკიდებელი მოსაზრება გადმოეცა, თორემ რით უნდა აეხსნათ, რომ ერთ მიმდევრობაში იგი რესპუბლიკის მთავრობას პიკებას, მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით ხართ დაკავებული, მეორე შემთხვევაში კი მასვე სთხოვს კრედიტები გამოგიყვანოთ თუ მთავრობა უცხოურ ინვესტიციებს არ მოიზიდავს, სოფელ ბაღდადის მოსახლეობა თითოეული 500 ლარის კრედიტს როგორ მიიღებს?)

წერილს დაიტოვიდა დემოკრატიის სურვილი და მის დარღვევებზე გულისტვივრი გასდევს და ამავე დროს შეუიარაღებელი თვლით აშკარად ჩანს ნოსტალგია კომუნისტური რეჟიმისადმი. აბა, როგორ უნდა გაეგოთ სტრიქონები, სადაც კეთილშობილთ ჩივილს იმაზე, რომ რაიონის გამგებელმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა არ უზრუნველყო ხორბლის ორგანიზებულად აღება და საერთოდ ვერ მარაგდებინ თესლით. რას ნიშნავს მოთქმა-გოდება იმაზე, რომ აგროფირმა სახელმწიფოს ბიუჯეტისადმი დაედიანებების დასაფარავად საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ყიდის ყოფილი საკლმურნეო ქონების ნაწილს და მიტოვებული ფერმის შენებას (სადაც არცერთი სული პირუტყვი დიდი ხანია აღარაა ჰყავთ). ან ყოფილი ავტოფარების ნანგრევებს და თუნდაც გამართულ ტექნიკას, რომელიც არაფერ იცის და არაფერ ითვლის, თუ სად მუშაობს, რას

აკეთებს ან რა შემოსავლებს იღებს, - ბატონს უჩენს, რომელიც ოფიციალურად გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე უკვე ვალდებულია და დგება საჯარო-სახელმწიფო დაბეჭდვით, სადაც მის შემოსავლებს სპეციალისტები ითვლიან და უკვე ერთგვარად სახელმწიფო დაბეჭდვით.

საინტერესოა, წერილის ავტორის აზრით, საკუთრების რომელი ფორმა ამართლებს დემოკრატიის პრინციპებს - კერძო, თუ კომუნისტურიდან ხელუხლებლად გადმოტანილი „საკლმურნეო საკუთრება“, დღეს აგროფირმის საკუთრებად მონათლული, რომელიც დოკუმენტურად სოფლის ყველა მაცხოვრებლის საკუთრებაა, ფაქტურად კი, ან საერთოდ მიტოვებული და საძირკვავადაა მიღებული, ან რომელიმე კერძო პირი, რომელსაც ტექნიკა კლმურნეობის დროს ჰქონდა გაპირობებული, დღეს ყოველგვარი კომპენსაციისა და მისი მფლობელის მოსახლეობის დაუკითხავად საკუთარი კერძო ინტერესებისათვის იყენებს. მაშინ, როდესაც ტექნიკის მფლობელ სოფლის მოსახლეობას აგროფირმის სახით ათასობით ღარი დაედიანება აქვს ბიუჯეტისადმი, რაზედაც ყოველდღიურად საურავი ერიცხება, სახელმწიფო ვერ იღებს მის კუთვნილ შემოსავლებს და ამას ემატება კიდევ ის, რომ იგივე უი-თმ მფლობელი აღნიშნული ქონების ფლობისათვის იხდის ქონების გადასახადს.

სოფელ ბაღდადის აგროფირმა „იმერეთში“ ბაღდადს რიცხულ 90458 ლარის ქონებიდან 1996 წლის 30 ივლისის და 22 ოქტომბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით ოქმი №5 და №2) გაყიდულია 22349 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, რომლის ძირითადი ნაწილი შეიძინა ამავე სოფლის მაცხოვრებელმა. კომისიის მიერ ქონების ფაქტური მდგომარეობის მიხედვით სათანადო აქტებით შეტანილია ცვლილებები საბაღდადის ღირებულებაში და ამის გამო აღნიშნული ქონების რეალიზაციიდან ამოღებული 10525 ლარი გაუქმებული არ აღმოჩნდა ქონების არცერთი ერთეული.

აგროფირმას დღეისათვის კიდევ ერიცხება ბიუჯეტისადმი დაედიანება 2700 ლარი. თვითონ სოფლის მოსახლეობას კერძო მფლობელობაში არსებულ მიწებზე გადასახადი გადაუხდელი დარჩა 1995 წელს - 3516 ლარი, 1996 წელს - 7600 ლარი, ხოლო მიმდინარე წლის გადასახადიდან გადაუხდელია 8900 ლარი. სულ გადაუხდელია 20016 ლარი. წინა წლების გადაუხდელ თანხებზე დარიცხულია საურავი 6500 ლარი ანუ დღეისათვის ბაღდადის მოსახლეობისაგან 26500 ლარს მოუთმენდად ელიან მასწავლებლები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, მედიცინის მუშაკები და სოციალური სფეროს სხვა მუშაკები.

აფენის საკრებულოს, რომლის შემადგენლობაშიც შედის სოფელი ბაღდადი, ბიუჯეტისადმი დაედიანება შეადგენს 196 ათას ლარს, სადა ანაც 67 ათასი ლარი აგროფირმებზე და დღეის ქარხანაზე, ხოლო 129 ათასი ლარი მოსახლეობაზე მოდის. აღნიშნული დაედიანების დაფარვის შემთხვევაში აფენის საკრებულოს ბანკში საკუთარ ანგარიშზე მინიმუმ 110 ათასი ლარი დაუჯდება. რამდენი კარგი საქმე გაკეთდებოდა საკრებულოს ტერი-

ტორიაზე თვით ბაღდადშიც, აქაური მოსახლეობა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებს რომ იხდიდეს და არა პირიქით, კიონის და განგაშს სტეხენ, არიქ, სახელმწიფო გადასახადებს ძალით გვახდევინებენო.

რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო დაედიანების შესრულების პროცესის კომუნისტური გეგმების შესრულებაში არსებულ მანკიერებებთან შედარებას ეს უკვე აშკარად გადასაწყვეტია, ვინაიდან დღეისათვის რაიონის საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასების დაედიანება 1 სექტემბრის მდგომარეობით გასწორებულია. ამ საქმეში თუ რაიმე გაჭირვებაა, ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ სირთულეებია გადასახადების ამოღებაში, მთლიანად აფენის საკრებულოს ტერიტორიაზე, სოფელბაღდადის მოსახლეობაში.

თუ ბაღდადელებს ის უკვირთ, რომ გადასახადებს არ იხდიან და მათი სკოლის მასწავლებლები კი ხელფასს იღებენ, განუხარტავთ, რომ ეს თანხები მათ საკრებულოს სესხად აქვთ მიღებული სხვა საკრებულოების ჭარბი შემოსავლებიდან და სესხს კი დაფარვა უნდა.

საერთოდ კი წერილის ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პენსიები არაფრით არაა დაკავშირებული ბიუჯეტის არც შემოსავლებთან, არც გასაღებებთან. პენსიების დაფინანსების წყაროა სოციალური ფონდი, რომელიც ხელფასებიდან სპეციალური ანარიცხებისაგან შედგება და ანალოგიური რესპუბლიკური ფონდი.

მთიხვედს გვინდა გაეგვიჩინოთ, რომ ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის, კერძოდ, აფენის საკრებულოს ტერიტორიაზე განლაგებული სოფლების მოსახლეობის აზრი რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის მუშაობის შესახებ არ ემთხვევა წერილის ავტორის კერძო მოსაზრებებს. ეს ნათლად ჩანს ბოლო არჩევნების შედეგებიდან ლაგოდეხის მრავალჭირნახულმა და მრავალდეროვანმა მოსახლეობამ კარგად იცის, რომ გაჭირვებას ხელდაეკაპივებული უნდა ებრძოდეს და არა ყალბის თხზვაში ათენ-აღამოს.

წერილის ავტორები (უფრო სწორად, ავტორი) მთელი ამ სტატიის დედაბუნად გამგებლის არჩევას მიიწვევენ, ბოლოს კი რაიონის „დამანგრეველი“ გამგებლის „ახალ“ სამსახურში გადაყვანის აზრს გამოხატავენ.

ნუგზარ კაკიაშვილს რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების არ ეშინია, ეს იმითაც დასტურდება, რომ ადრე, კლმურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის დროს, არჩეული იყო ლაგოდეხის პარტიის რაიონის სარევიზო კომისიის წევრად, რაიკომის წევრად, სრულიად საკუთარი კლმურნეობა IV ყრილობის დელეგატად (ყრილობა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსკოვში, კრემლში), ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში ასე თუ ისე შედარებით თავისუფალი არჩევნების დროს, არჩეული იყო ცდინისკარის საკრებულოს წევრად, ლაგოდეხის რაიონის საკრებულოს წევრად, ხოლო 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის წევრად. მისი პირადი მონაწილეობით და ინიციატივით სოფლებში აშენდა დღეის ქარხანა, სპორტული კომპლექსი, დახურული სპორტული დარბაზები, ასფალტის ქარხანა, ბლოკის ქარხანა, ამჟღავნებელი კომპლექსი, მოასფალტდა მთლიანად ხუთი სოფელი, გაყვანილ იქნა სასმელი წყალი, ბუნებრივი გაზი და კიდევ მრავალი საყოფაცხოვრებო თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი ასევე აღსანიშნავია სამი ეკლესია

(სწენებულები 1991, 1992 და 1995 წლებში), რომლიდანაც ორი წინდა გიორგის სახელობისაა, სოფ.თელაში და სამებისა ქლაგოდეხის ცენტრში, რომელიც საქართველოს პარტიარქის მიერ იქნა კურთხეული.

ნუგზარ კაკიაშვილისა და მისი კოლეგების მიერ მრავალი მივიწყებული ტრადიცია იქნა აღდგენილი, მრავალ ახალ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეგვიძლია, მაგრამ თავს ვიკავებთ, რათა თავის ქებაში არ ჩაგვეთვალოს.

წერილის ავტორმა (და არა ავტორებმა) ეს ყველაფერი კარგად იცის, ახლა კი შეითხველმა თავად განსაჯოს, ნუგზარი და მისი თანამშრომლები რაიონის დამანგრეველები არიან თუ არა. ანდა კაკიაშვილს არჩევნების ეშინია თუ არა, ანდა მისმა ავტორმა დაგვისახელოს თავად, გარდა ვაზეთში გამოქვეყნებული „შედევრისა“, რისი ავტორია, რისი ინიციატორია და ვისი და სად არჩეულია.

რაც შეეხება ბატონ აბაზაძის მიერ სოფლის მეურნეობის დარგის დაცემას, აქ ერთს ვიტყვი მხოლოდ - დღეს, როგორც რესპუბლიკაში, ასევე რაიონის ამ დარგში შექმნილი მდგომარეობის ნამდვილი არის ავტორმა ვერ გაიგო და ალბათ მისი გონების პატრონი ვერც ვერასოდეს გაიგებს. კომენტარი აქ უკვე შედგება.

რაც შეეხება სტატიაში ნახსენებ მხედრობას - იყო დრო, როდესაც წერილის ავტორი მხედრობის ქება-დიდებას ასხამდა, საქართველოს ბედნიერ მომავალს მხედრობის გაძლიერებაში ხედავდა და მისი ღიღერები წინდანებდა მიაჩნდა.

ლაგოდეხის რაიონი, მიუხედავად გადატანილი მრავალი ჭირვარამისა, ამაყად უდგას საქართველოს აღმოსავლეთ კარიბჭედ. იგი რესპუბლიკაში პოტენციალურად ერთ-ერთი უძლიერესი რაიონია მისი სრულად ამოქმედებისათვის უზარმაზარი ძალისხმევაა საჭირო რაიონს გააჩნია ძალიან ბევრი პრობლემა, დასაძლევია უამრავი საკითხი, გადასაწყვეტია, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა დარგების აღმავლობის ამოცანები, ურომელი-სოდაც მომავალში არსებობა წარმოუდგენელია. აქაური მშრომლები სისხლისა და ოფლის ფასად ინარჩუნებენ მშვიდობისა და შრომის სიყვარულს, იბრძვიან უკეთესი მომავლისათვის. ბევრი უკეთური ეცადა არეულობა და შუღლი დაეთუხა ჩვენს მრავალწლოვან რაიონში, გამოეწვია ქაოსი და დესტაბილიზაცია, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს, ვინაიდან არის დემოკრატია, არის სიმართლე.

დრო მუშაობს სიმართლისათვის; ჩვენი მომინებით - უკეთესი მომავლისათვის.


ლაგოდეხის რაიონის გამგებლის პრეს-ცენტრი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დაკავშირების საკითხებთან დაკავშირებით 13-15 თებერვლის ვენეციაში, გაერო-ს შტაბ-ბინაში გაერო-ს ვედით გაიმართება მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო სამართლისა და აფხაზეთის საკითხებში ლევან ალექსიძემ „იფირინდა“-ს აცნობა, მოლაპარაკებებში ქართული მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ აღამია, აფხაზეთის არმიის სტრატეგია თავმჯდომარის მოადგილე დავით გვაძამია.

ლალექსიძის თქმით, საერთოდაა, რომ აფხაზეთის მხრიდან მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ არმინას ხელისუფლების პირადი წარმომადგენლები რუსეთში ანრი ჯერგინია და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რუსეთის მხრიდან - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დაავლებათა ელჩები აფხაზეთის საკითხში ლევ მირონოვი და გენადი ილინოვი. შეხვედრას ასევე დაესწრებიან საქართველოს მეგობარი ქვეყნებისა და გაერო-ს წარმომადგენლები.

როგორც ლალექსიძემ განაცხადა, შეხვედრის ძირითადი მიზანია იმ გზების ძიება, რაც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწყობისას. საუბარი ასევე შეეხება სოციალურ, ეკონომიკურ და დონორული ქვეყნების მონაწილეობის საკითხებს. ამის პარალელურად, მიმოიხილება პოლიტიკური საკითხებიც. ლალექსიძის თქმით, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების ოქმი დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის იმ სტადიაში, ხელი რომ მოეწეროს ქართული მხარე აპირებს წინა პლანზე წამოსწიოს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ლტოლვილთა დაბრუნებისა და ქართული ენის სწავლების საკითხები, აგრეთვე პირველ ეტაპზე გალის რ-5ში ლტოლვილთა უსაფრთხოებისა და რაიონის რეაბილიტაციის საკითხი. (იზრინდა)



მ. აბაშიძის ნახატი

უნდობლობას ვუსხადებთ ეუთოს მიხედვით საქართველოში

მეზობელი გვერდიდან
V. ანტონ მიხია
უღბოვანების პენი
გვერდიდან —
ოსკარ-რუსკი
ბანკის სახელით

უარყოფს რა იმ ფაქტს, რომ ოსურ ტერიტორიულ ავტონომიას საქართველოში თავისი პირველი შექმნიდან (1922) დღემდე არც ერთი საათი არ უარსებია რუსეთის რეგულარული ჯარის იქ ყოფნის გარეშე. ეუთოს მიხედვით მინიშნებით ფორმით გამოთქვამს უღბოვანების საქართველოს მისამართით, რომ, თუ საქართველომ ოს სეპარატისტებს არ დაუთმო, იგი შესაბამის ტერიტორიას დაკარგავს.

მისია წერს:
Аннулирование территориального статуса Южной Осетии в 1990 году обострило сепаратистские тенденции в этом регионе. В будущем, отказ в территориальном статусе разрушит всякую надежду на восстановление целостности Грузии.

ბუნებისა და ისტორიის კანონი გახლავთ ის, რომ ქვეყნისა და ერის პასუხი უღბოვანებისა და კაპიტულიზმისა, ან წინააღმდეგობაა მესამე, როგორც ცნობილია, არ არსებობს. რომელ ვხას ირჩევს საქართველო და მისი ხალხი ამ უღბოვანების წინაშე, ამის გარკვევის ერთადერთი დეგრიტივირებული საშუალებაა საერთო-სახალხო რეფერენდუმი საქართველოს მასშტაბით, და არა პრეზიდენტის ან პარლამენტის, მით უმეტეს - ლალატის ეჭვის ქვეშ დაყენებული პრეზიდენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის ნება.

ანტონ მიხიის პოლიტიკური პოზიციის შესახებ მოკლე

ბუნებრივია, რომ ზემოთ ციტირებული ფაქტობრივობის ჩაღვრა და ზემოთ ნაჩვენები ტენდენციური ანთანამდებლობის დემონსტრირება ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის მიერ, როგორცაა ეუთო, ახსნას მოითხოვს. ეინადან არ გვაქვს საფუძველი ცალსახად მივაწეროთ მისიის ეს ქმედებები რაიმე კონკრეტულ მოტივს, იძულებულნი ვართ ჩამოეთვალათ ის შესაძლო ინტერესები, რომლებიც შეიძლება ეუთოს მონაწილე ამა თუ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს ჰქონდეს საქართველოს კანონიერი ეროვნული ინტერესების ამ შედახისათვის და რომლებიც ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაეღვინას ახდენდნენ ეუთოს მისიის პოზიციისაზე ამ ინტერესთა შესაბამისად საქართველოში მიმდინარე კონფლიქტის ბედის წარმართვის მცდელობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით ყველა შემთხვევაში სხვაგვარად ვერ დააკვალიფიცირდება თუ არა როგორც შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით. ეს ინტერესები შესაძლოა იყოს შემდეგი:

ა) ერთ-ერთი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი დაინტერესებულია პრევენციის შექმნით,

როცა ეთნიკურად განსხვავებულ მოსახლეობას სახელმწიფოს გარეგანი საზღვრების დაურღვევლად ქმდევია ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობა, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის იარაღი და მომავალი სეკესიის (გამოყოფის) წინამძღვარი.

ბ) ერთ-ერთი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი დაინტერესებულია ოსების სპეციფიკური რასობრივი კუთვნილებით კავკასიაში, კერძოდ, მათი ინდოევროპელობით, რომელიც შესაძლოა მომავალში საფუძველი გახდეს მათი პოლიტიკური ორიენტაციისა და კავკასიაში საყრდენი პოზიციების განაწილებისა მსოფლიოს დიდ ძალთა შორის.

გ) ერთ-ერთი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ემხრობა რუსეთის პოზიციას კავკასიის მიმართ, რომელიც დღეს, როგორც ცნობილია, აქტიურადაა მიმართული საქართველოს წინააღმდეგ.

უიფა ქართლის წართავეთი მიხედვით საქართველოს შემოგზავნი პოპარიავის გზა

საქართველოსთვის მისაღები არ არის და ვერ იქნება მის შინაგან საქმეებში გარედან ჩარევის ვერც ერთი მცდელობა გარდა ისეთისა, რომელიც ემყარება საერთაშორისო დიდებულებსა და საქართველოს ხელმძღვრით დადასტურებულ ზოგადმნიშვნელოვან ანუ ხელმძღვრეთათვის საყოველთაოდ ძალაში მყოფ ნორმას სახელმწიფოთა შინაგანი პოლიტიკის სფეროში. საქართველო ვერ დაუშვებს იმას, რომ მისთვის შექმნან და მას თავს მოახლოონ შინაგანი პოლიტიკის ისეთი ნორმები, რომელიც არაა საყოველთაოდ საყოველთაოდ, რომელთა შემუშავებაში მას მონაწილეობა არ მიუღია და რომლებიც მას თავის ხელმძღვრით არ დაუდასტურებია. დღევანდელ პირობებში, როცა მოსალოდნელია საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის მიერ რადიკალურად ანტი-სახელმწიფოებრივი და ანტი-ეროვნული იურიდიული ნაბიჯების გადადგმა შიდა ქართლზე საქართველოს იურისდიქციის შესუსტების მიმართულებით, საქართველოს იურიდიული თავდაცვის ორგანიზაცია გზა რჩება ერთიან საერთო-სახალხო რეფერენდუმის მოთხოვნა და ჩატარება ოსების და მათი მფარველების წინაშე საქართველოს კაპიტულიზაციის ანუ შიდა ქართლში კიდევ ერთხელ „ოსეთის“ შექმნის მისაღებად-მოუღებლობის საკითხზე მეორე მოქალაქეთა (ამომრჩეველთა) უმრავლესობის ხელმძღვრით იმის კონსტატაცია, რომ არც პრეზიდენტს, არც მმართველ პარტიას თავის საარჩევნო პროგრამაში შიდა ქართლში „ოსეთის“ კიდევ ერთხელ შექმნის შესაძლებლობა არ უხსენებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ანტი-სახელმწიფოებრივი ნაბიჯს ამომრჩეველის თანხმობა არა აქვს და რაც საკმარისი საფუძველი იქნება შესაბამისი კაპიტულიზაციური აქტების ბათილად ცნობისათვის მომავალში.

საქართველოში შავი საპენსიო დაზღვევის სისტემა

1988 წლის 1 იანვრიდან საქართველოში შემოღებული იქნება საპენსიო დაზღვევის სისტემა, - თქვა სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ოთარ ხუფენიამ.

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევის რეფორმირების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, სამინისტროში შექმნილია კომისია, რომელიც 15 დეკემბრამდე წარმოადგენს ფონდის რეორგანიზაციისა და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო კომპანიის გეგმას.

ხუფენიას თქმით, ახალი რეფორმა „საშუალებას მოგვცემს გაერთიანოთ და უფრო ეფექტური გაუხადოთ მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში ჩართული მრავალი უწყების ძალისხმევა“.

„ახალი სისტემის დანერგვით, ჩვენ ვიძენთ 1 მილიონ აგენტს, რომ-

ლებიც კონტრაქტის მეშვეობით აკონტროლებენ სამუშაოს მიმცემს - დაახლოებით ამდენია საპენსიო შენატანების გადასმული შრომისუნარიანი ადამიანი“ - უთხრა პრეზიდენტის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ, დავით ვეკუამ.

მისი თქმით, „მათი ზუსტი რაოდენობა დადგინდება ყოველი პეტენციური პენსიონერის ადრეცხვისა და მონაცემთა სრული კომპიუტერიზაციის შემდეგ, ინფორმაცია ყოველ მოქალაქეზე განსაკუთრებული კოდითა და შიფრით შეინახება მონაცემთა ბაზაში“.

ოთარ ხუფენიამ აღნიშნა, რომ მომავალში პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება მხოლოდ „ხელფასისა და სადაზღვევო საპენსიო შენატანის ოდენობაზე“. ეს სისტემა მოიცავს მხოლოდ 40 წელზე ნაკლები ასაკის მოსახლეობას. ახლანდელი პენსიონერებისთვის პენსიების დარიცხვა და დიფერენცირება სხვა პრინციპებით მოხდება - მათ სახელმწიფო დაუჭერს მხარს, მათი პენსიები მაქსიმალურად იქნება „აქ-

ჩული“ საარსებო მინიმუმის დონეზე.

„კარგად გვესმის ვითარების მთელი უსამართლობა, რომლის მსხვერპლადაც იქცა ჩვენი მოქალაქეების უფროსი თაობა, რომლებიც პატოსნად შრომობდნენ მთელი ცხოვრების მანძილზე. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში მომხდარი გლობალური ცვლილებები, წინა სისტემის კრახი შეუძლებელს ხდის რაიმეს შეცვლას“, - თქვა ხუფენიამ.

ვეკუას თქმით, ამჟამად პენსიონერთა რიცხვი საქართველოში 950 ათასს შეადგენს. ეს ძალზედ ბევრია, ჩვენი ერთი ბერდება, დასაქმებული მოსახლეობისა და პენსიონერების რაოდენობა დღეს ერთმანეთს უტოლდება“, - თქვა მან.

რაც შეეხება კითხვას უახლოეს წლებში პენსიების მომატების შესახებ, ოთარ ხუფენიამ თქვა, რომ დღეს ამ კითხვაზე საქართველოში პასუხს ვერაინ გაცემს, რადგან „ყველაფერი ძალზედ სწრაფად იცვლება“. (კრამ-61531)



გახსენება

ორმოცი დღე გავიდა რაც ჩვენს შორის აღარ არის ვახტანგ ჯამდელიანი. ახალგაზრდა, ენერგიით სავსე ოჯახისა და ქვეყნის ერთგული კაცი. ობლად დარჩა შეილები ვიკა, სალომე, ელგუჯა. ნაადრევად დასტოვა ცალად ერთგული მეუღლე მარინა.

მძიმეა უშენობა ვახტანგ, ვახსენებთ ცრემლით და დიდი ტკივილით.
მეგობრები, ნათესავები

ქროსპორტი

პირიონტალურად: 7. მოკლებადნიანი სანადირო ძაღლის ჯიშის; 8. 1962 წელს ჩილეში ჩატარებული მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი; 10. ინფორმაციის რაოდენობის ორობითი საზომი ერთეული; 11. მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე რომლის წვეწვს იყენებენ მედიცინაში; 12. ბიზეს ოპერა; 13. სახელგანთქმული იტალიელი კინორეჟისორი; 15. მხატვრის, მოქანდაკის, ან ფოტოგრაფის სახელოსნო; 17. გამოჩენილი იტალიელი საპრო მომღერალი, კარუზოს როლის შემსრულებელი კინოფილმში; 19. ლითონის ღერები, ბადისებრ დახლართული, ან რიკულით შეკრული; 20. დედამიწის არქტიკული სარტყლის სამხრეთი ზონა, უტყეო სივრცე; 24. თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სადგურ; 25. სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია ლუსაკა; 27. საგვარულო ან ბოძებული საპატიო წოდებულება; 28. ორპტიანი ოპერის „ჯადოსნური ფლეიტის“ ავტორი, გენიალური კომპოზიტორი; 29. დამხარე თეორემა; 31. ტროპიკული ხილი; 32. მაუდ-გადაკრული მაგია ბორტებით და ბადიანი ხერტილებით; 33. შესანიშნავი ქართველი მსახიობი ქალი.

1	2	3	4	5	6
7			8		
			9		
10				11	
		12			
13		14		15	16
			17		18
	19			20	
21			22		23
		24			
25		26		27	
			28		
29	30			31	
32				33	

მეორეპალურად: 1. ვერცხლისწლიანი ბარბერის გამომგონებელი, გამოჩენილი იტალიელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი; 2. მდინარე ინდოსტანის ნახევარკუნძულზე; ერთიანი ინდოეთის ოკეანეს; 3. საქართველოს ქალაქი, რომელიც დაიბრუნა თავისი პრეზიდენტი სახელით; 4. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგი დოკუმენტის სახელწოდება; 5. მაღალმთიანი ტბა საქართველოში; 6. სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით სხვა სიტყვას ემთხვევა, ბევრითი შემადგენლობით კი განსხვავდება მისგან; 9. რუბინების ოპერა კავკასიურ თემზე; 14. გამოჩენილი პოეტური მკვლევარი; 16. ორადგ-

ილიანი ევლოსიპედი ორი წყვილი პედალით; 17. დიდი უნგრელი კომპოზიტორი; 18. ცხენის სხვადასხვაგვარი სელა; 21. გეომეტრიული ბრტყელი ფიგურა; 22. შეუდარებელი ორანგი (სპარსული). პოეტ; 23. მსოფლიო ჩემპიონის თავისუფალ ჯიდაობაში, ვეტერანი ქართველი მოჭიდავე; 26. ღვინის ძლის ერთეული; 27. მდინარის პირზე და ტენიან ადგილებში გავრცელებული ხე; 30. ერთმნიშვნელოვანი დრამატული შინაარსის ეოკალური ნაწარმოები; 31. მე-19 საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პეიზაჟისტი.

მეორეპალური პასუხები

მეორეპალურად: 2. იაშვილი; 7. ვორენ; 8. სონატა; 9. მდინარე; 10. ცირამუა; 11. სქოლიო; 12. ოხა; 14. ცვილი; 15. ფეტიშისმი; 17. ალბასტრი; 19. ინტალი; 22. სეირი; 24. სიმამრი; 26. არაბიკა; 27. ესტამპი; 28. გენა; 29. იგლუ; 34. ამონი; 36. მონტანა; 37. სეკეოია; 38. დანდოლო; 39. მთა; 40. ომი.

მეორეპალურად: 1. იმპერიალიზმი; 27. იმპერატორი; 3. შაქმები; 4. ირიგა; 5. ილუსტრაცია; 6. ეკონომიზმი; 13. ზანზობარი; 16. ტინტორეტი; 18. ტირასპოლი; 20. არაბი; 21. ოსკარი; 22. სელექცია; 23. იბანის; 24. სეტერი; 25. ალმასი; 30. სტამბა; 31. სორდი; 32. მიკენი; 33. უნია; 35. როჭო.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ
ბრიტალაშვილი

გეგმვანი:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მისამართი: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყაიშვილის მოედანი, აუზიანის d. 5
ბაზაიის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის
სსსპართლოს მიერ. №06/4-444